

## ინვესტორთა საბჭოს მესამე სხდომის ოქმი

20 მაისი 2016 წ., 15:00 სთ.

### სახელმწიფო კანცელარია

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

#### ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი
- დიმიტრი ქუმსიშვილი, ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
- ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი
- ოთარ დანელია, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ნოდარ ჯავახიშვილი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი
- ილია ელოშვილი, ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე
- ლაშა ხუციშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე
- სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი
- გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ზვიად ჭუმბურიძე, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვას და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში
- გიორგი კიზირია, უფროსი პროექტების მმართველი, აზიის განვითარების ბანკი
- მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

#### მოწვეული სტუმრები:

- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- გელა დუმბაძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი
- გიორგი პერტაია, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი
- ჯონ გაბრიელ გოდარდი, მსოფლიო ბანკის მისია
- ტიფანი სადლერი, ბრიტანეთის საელჩო
- ლორეტა მარტიკიანი, ევრობანკი
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

- გიორგი ჩხეიძე, პროექტის ხელმძღვანელი, USAID-ის პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- გივი გიორგაძე, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ზურაბ ძნელაშვილი, ბიზნესომბუდსმენის მოადგილე
- ნინო ჯავახაძე, ეკონომიკური საბჭოს მდივნის მოადგილე

## 2016 წლის 17 თებერვალს ინვესტორთა საბჭოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

### 1. საგადასახადო ადმინისტრირება:

მომხსენებელი: სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს მიერ საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ინტენსიურად თანამშრომლობს შემოსავლების სამსახურთან, რათა საგადასახადო რეფორმების განხორციელებაში ჩამოყალიბდეს კერძო სექტორის ჩართულობის სამოქმედო გეგმა.
- ამერიკის სავაჭრო პალატა ამერიკის განვითარების პროგრამასთან ერთად (USAID) ახორციელებს კერძო სექტორთან დიალოგს სახელმწიფო საგადასახადო აუდიტის პროცესთან დაკავშირებით.
- ინვესტორთა საბჭოს სამუშაო ჯგუფმა შემოსავლების სამსახურთან ერთად მოამზადა ტექნიკური დავალება ტექნიკური დახმარების პროექტისათვის, სახელწოდებით: მარეგულირებელი კანონმდებლობის ზეგავლენის შეფასება ევროკავშირის დღგ-ს დირექტივასთან.
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ მიმართა ბრიტანეთის "კარგი მმართველობის ფონდს" ზემოაღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად. პროექტის დაწყება ივარაუდება 2016 წლის ივნისში.
- ინვესტორთა საბჭო განაგრძობს მუშაობას შემოსავლების სამსახურთან ესტონური მოდელის დანერგვის ტექნიკური დახმარების პროექტის განსახორციელებლად.

### კომენტარი

ლაშა ხუციშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე

- შემოსავლების სამსახური მუშაობს ესტონურ მოდელთან დაკავშირებით საჭირო მეორად კანონმდებლობაზე;

- სავალუტო ფონდის მისია შეაფასებს ახალი მოდელის დანერგვის პროგრესს;
- განისაზღვრა საკითხები, სადაც შემოსავლების სამსახურს ჭირდება დამატებით ტექნიკური მხარდაჭერა.

პრემიერ-მინისტრის პოზიცია:

- ხაზი გაესვა ახალი საგადასახადო მოდელის დანერგვისას ყველა პოტენციური პრობლემის წინასწარი იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრის აუცილებლობას, რათა 2017 წლის 1 იანვრისთვის მოდელმა გამართულად იმუშაოს.

## **2. ერთიანი მომსახურების სივრცე უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისთვის**

მომხსენებელი: ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა

ინვესტორთა საბჭომ მოისმინა ინფორმაცია ინვესტორთა საბჭოს სამუშაო ჯგუფისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

### კომენტარი

დომიტრი ქუმსიშვილი, ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი:

- 2016 წლის 10 ივნისს გამოცხადდება პროექტისთვის შენობის დიზაინის კონკურსის გამარჯვებული;
- ესტონეთის მთავრობა უზრუნველყოფს ტექნიკურ ექპერტიზას მრჩევლების მეშვეობით.

## **3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები**

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

- პროექტი მოამზადა ამერიკის სავაჭრო პალატამ ინვესტორთა საბჭოს ფარგლებში, რომელიც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან საბოლოო შეთანხმების შემდგომ წარედგინება მთავრობას 2016 წლის ივნისის თვეში.

## სხდომაზე განხილული საკითხები

### 1. სასამართლო რეფორმა

მომხსენებელი: სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სასამართლო სისტემის შემდგომი რეფორმირებისათვის პრიორიტეტული 5 საკითხი, რომელიც ეხება არსებულ კანონმდებლობას, ასევე სასამართლო რეფორმის "მესამე ტალღის" საკანონმდებლო პაკეტს;
- სამდივნოს მიერ შემუშავდა ტექნიკური დავალების მონახაზი, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელებას მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ოპტიმალური დატვირთულობის განსასაზღვრად. სამდივნო, იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან კოორდინაციის პირობებში, მიმართავს დონორებს აღნიშნული ტექნიკური დახმარების პროექტის დაფინანსების მოსაპოვებლად და განსახორციელებლად.

### კომენტარი

თეა წულუკიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი

- მოახსენა საბჭოს სასამართლო რეფორმის "მესამე ტალღის" საკანონმდებლო პაკეტის საპარლამენტო განხილვის თაობაზე;
- ხაზი გაუსვა "ძაბრის ეფექტის" რისკს სასამართლო სისტემის გადატვირთულობის გამო;

ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა

- სამრეწველო პალატა საბჭოს მომდევნო სხდომისთვის, მოამზადებს წინადადებებს სასამართლოს განტვირთვის მექანიზმებზე;

პრემიერ-მინისტრის პოზიცია:

- ხელი უნდა შეეწყოს არბიტრაჟის, მედიაციისა და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმების განვითარებას.

### გადაწყვეტილება:

- იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით, ინვესტორთა საბჭოს ფარგლებში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს შემოთავაზებულ

ინიციატივებზე, ისევე როგორც სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის გზებზე.

## 2. მეწარმეთა შესახებ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი

მომხსენებელი: გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ძირითადი საკითხები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უკვე მუშაობს მეწარმეთა შესახებ ახალ კანონზე, რომლის მიღებაც არ არის გათვალისწინებული მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში.
- კერძო სექტორის წარმომადგენლების მოთხოვნით, ინვესტორთა საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა მეწარმეთა კანონში შესატანი აუცილებელი ცვლილებების პროექტი სამეწარმეო კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად. ინვესტორთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების კონცეფცია, სასურველია, ასევე გათვალისწინებულ იქნას "მეწარმეთა შესახებ" ახალ კანონზე მუშაობის პროცესში.
- ჯგუფმა განმარტა მეწარმეთა შესახებ კანონში შესატანი შეთავაზებული ცვლილებების არსი.

გადაწყვეტილება:

- ინვესტორთა საბჭომ სამუშაო ჯგუფის ფორმატში, ითანამშრომლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მეწარმეთა შესახებ კანონზე მუშაობისას.

## 3. გადახდისუნარობის რეფორმა

ძირითადი საკითხები:

- გადახდისუნარობის რეფორმის კომპლექსური და მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, რეფორმა უმჯობესია განხორციელდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით.
- მისასალმებელი იქნება ბიზნესთან ადრეული კონსულტაცია და ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის, კონცეფციის დონეზე.

გადაწყვეტილება:

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

მონაწილეობით, რათა მოხდეს გადახდისუნარობის რეფორმის პროგრესირება.

**საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 12 კვირის ფარგლებში.**

შეთანხმდა ინვესტორთა საბჭოს მომდევნო სხდომაზე განსახილველი ერთი საკითხი.

1. საპენსიო რეფორმა, ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ქვეყნის დღის წესრიგში დგას.

სხდომაზე განსახილველი დანარჩენი საკითხები შეთანხმდება მოგვიანებით:

გიორგი კვირიკაშვილი  
ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე

მარიამ მეღვინეთუხუცესი  
ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს  
უფროსი